



სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა



KA080117207763119

№ 1007

20 / თებერვალი /
2019 წ.

შპს „სამშენებლო კომპანია მამისონის“ თეთრ სიაში დარეგისტრირების შესახებ


სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2019 წლის 28 იანვარს წარმოდგენილ იქნა შპს „სამშენებლო კომპანია მამისონი“ (ს/ნ: 205204250) 2019 წლის 28 იანვრის № 01/30 მომართვა (რეგისტრაციის № 907), რომლითაც მიმწოდებელმა მოითხოვა თეთრ სიაში დარეგისტრირება. შპს „სამშენებლო კომპანია მამისონმა“ 2019 წლის 5 თებერვალს წარმოადგინა 2019 წლის 4 თებერვლის №1-39 დაბუსტებული მომართვა (რეგისტრაციის № 1259), რომლითაც მიმწოდებელმა გამოასწორა მის მომართვაზე სააგენტოს 2019 წლის 4 თებერვლის №454 წერილით დადგენილი ხარვეზი.

სააგენტომ განიხილა მიმწოდებლის თავდაპირველი და დაბუსტებული მომართვა თანდართული დოკუმენტაციით და მიიჩნევს, რომ იგი აკმაყოფილებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 26 თებერვლის №2 ბრძანებით დამტკიცებული „თეთრი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 26 თებერვლის №2 ბრძანებით დამტკიცებული „თეთრი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-6 მუხლით და დაადგინა:

1. შპს „სამშენებლო კომპანია მამისონი“ (ს/ნ: 205204250) 2019 წლის 21 თებერვალს დარეგისტრირდეს თეთრ სიაში.
2. ამ განკარგულების აღსრულება დაევალოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტს.
3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად 

ლევან რაზმაძე